

ბანკის მოზიდული რესურსების მოცულობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დადებითი შედეგი

The Banks as the Participants of the Securities Market

ანა დვალი - დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Ana Dvali – PhD student

Georgian Technical University

რეზიუმე: თანამედროვე საბანკო სისტემა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ბანკები შეადგენენ მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც ურთიერთქმედებენ საინვესტიციო ბანკებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, ფინანსურ კომპანიებთან, კერძო ინვესტორებთან, სხვა კომპანიებთან და იღებენ სარგებელს ფულადი ნაკადების შექმნასა და მათი მიმოქცევის ხელშეწყობაში.

კომერციული ბანკები მრავალფეროვანი ოპერაციებით არიან დაკავებული, რაც გულისხმობს ფულადი მიმოქცევის ორგანიზებას, დეპოზიტების მიღებას კლიენტებისაგან, ეკონომიკის სუბიექტების დაკრედიტებას, ფასიანი ქაღალდების ყიდვას და გაყიდვას, ნდობით ოპერაციებს, საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ.

ბანკი არის შუამავალი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც ფულადი რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან და შესაბამისად, საჭიროებენ მას. სხვადასხვა სახეობის საბანკო დეპოზიტები, როგორცაა შემნახველი სადეპოზიტო ანგარიშები, ვადიანი ანაზრები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სხვა, განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში უსაფრთხოდ შენახვისთვისა და რაც მთავარია, სარგებლის მიღების მიზნით.

ბანკის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა და მოზიდული რესურსების მართვა - ეს არის მეცნიერება და, ამასთანავე, დროებით

გამოთავისუფლებული ფულადი რესურსების მართვის ხელოვნება. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს ბანკის სარესურსო ბაზის ოპტიმიზაცია. სწორედ მოზიდული სახსრების საშუალებით ხდება შესაძლებელი სხვადასხვა აქტიური ოპერაციების ჩატარება, კერძოდ, სხვადასხვა სახის სესხების გაცემა, რაც თავის მხრივ ბანკის შემოსავალის მუდმივად ზრდას უწყობს ხელს.

ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროს საკრედიტო ოპერაციები წარმოადგენს, თუმცა მათი წარმოებისათვის ბანკს აუცილებლად ესაჭიროება შესაბამისი სარესურსო ბაზა, სარესურსო ბაზის ფორმირების უმთავრეს წყაროს კი წარმოადგენს დეპოზიტები. დეპოზიტური ოპერაციები საბაზისო საბანკო საქმიანობის შემადგენელი ელემენტია, რაც გულისხმობს ბანკის ძირითადი ფუნქციის - თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვასა და ეკონომიკის სუბიექტების დაკრედიტების ოპერაციების - განხორციელებას.

კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტები ახალ ფულად მასას ქმნიან. ეს მოწმობს იმ ფაქტს, რომ ბანკი უბრალოდ კი არ აჩქარებს ფულის მოძრაობას, არამედ ქმნის კიდევაც ფულად მასას. საბანკო ანგარიშებზე თანხის განთავსებით, ფულადი სახსრები ბანკის რესურსად იქცევა და ბანკი მას კრედიტის სახით აწვდის კლიენტებს. ამასთანავე საბანკო ანგარიშის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს თავისი თანხის უკან გატანა - ნაწილობრივ ან მთლიანად. რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საბანკო სისტემისა და დაკრედიტების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. საბანკო სისტემა მიმართავს ახალ ფულად მასას იმ მიმართულებით, სადაც ფულის ეფექტიანად გამოყენება მოხდება. ამიტომაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემის პროცესი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი ფაქტორია. რა თქმა უნდა, ყოველ კომერციულ ბანკს, მეტნაკლებად, სარესურსო ბაზის ინდივიდუალური მართვის მეთოდები გააჩნია. ეს გამომდინარეობს ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკიდან, ბანკისათვის საჭირო რესურსების მოცულობიდან, რაც მთავარია, ქვეყანაში მიმდინარე მიკრო- და მაკროეკონომიკური მოვლენებიდან და სხვა.

Abstract: The banking system is a crucial component of the global economy and occupies one of the most important positions in the modern economic world. Banks are just one part of the world of financial institutions, standing alongside investment banks, insurance companies, finance companies, investment managers and other companies that profit from the creation and flow of money.

Commercial banks have to perform a variety of functions and operations, which includes organization of money turnover, acceptance of deposits, make loans and advances to all types of persons, particularly to businessmen and entrepreneurs (creation of credit), buying and selling securities, trust operations, consulting operations, etc.

As financial intermediaries, banks stand between depositors who supply capital and borrowers who demand capital. Bank deposits, which includes savings accounts, term deposits, certificate of deposit etc., are placed into banking institutions for safekeeping. These deposits, are made to deposit accounts such as savings accounts, checking accounts and money market accounts. The account holder has the right to withdraw deposited funds, as set forth in the terms and conditions governing the account agreement.

Attracting cash by the bank and management of the attracted resources - this is the science and, in addition, the art of financial management. The real purpose of these process is optimization of the base of financial resources. Resource optimization itself, is the set of processes and methods to match the available financial resources with the needs of the organization in order to achieve established goals.

The main income of the banks bring credit operations, but their implementation is necessary to have a large resource base, in turn, the main source of its formation are deposits. Relevance of the topic of work is determined by the fact that deposit transactions perform basic element of banking activities, as the main function of banks - the accumulation of free cash society and their redistribution to credit resources for economic entities, the state population.

Banks lend money to ordinary commercial and personal borrowers and create a new flow of money. This confirms the fact, that the bank simply does not accelerate money movement, it also creates the money supply. When someone

opens a bank account and makes a cash deposit, he surrenders legal title to the cash, and it becomes an asset of the bank. In turn, the bank can lend this money to other economic subjects. At the same time, the owner of deposit account can withdraw his money from bank account at any time.

For the economic development of the country the banking system has the main and important role. The banking system directs the money supply in required direction. The process of issuing credits by banks is a necessary factor for economic development of the country. The banking system has certain specifications according to the countries and, therefore, the formation and use of attracted resources happens in different ways. The process of gathering financial resources for a bank resource base includes banking management and marketing departments, and also other bank secessions.

საკვანძო სიტყვები: ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები; დეპოზიტები; მოთხოვნამდე დეპოზიტი; ვადიანი დეპოზიტი; დეპოზიტების დაზღვევის სისტემა;

Key Words: Active and passive operations of a commercial bank; Deposit; Demand deposit; Term deposit; Deposit insurance system;

შესავალი: საბანკო სისტემა წარმართავს ქვეყნის საგადახდო და ანგარიშსწორებათა სისტემას და სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად ახდენს მოსახლეობის დანაზოგების გადანაწილებას. შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ საბანკო სისტემა ასრულებს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

ბანკი არის შუამავალი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი რესურსების მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც ფულადი რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან. აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს, რომ ბანკის მთავარ საქმიანობას კრედიტების გაცემა წარმოადგენს. აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად კი ბანკს

ესაჭიროება რესურსები. საკუთარი კაპიტალი, რომელსაც ბანკი ფლობს, არ არის საკმარისი კრედიტების სასურველი მოცულობით გასაცემად და სხვა აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად, ამიტომ ბანკი საჭიროებს ფულადი სახსრების მოზიდვას. ბანკის მოზიდული რესურსების უდიდეს ნაწილს არასაბანკო დეპოზიტები, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და ვადიანი სახსრებია. კომერციული ბანკების საქმიანობის საფუძველს სწორედ მოზიდული რესურსების კრედიტის სახით გაცემა წარმოადგენს.

კომერციული ბანკის ფუნქციებისა და მიზნების შესასრულებლად საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვის ერთადერთ საშუალებას სწორედ პასიური ოპერაციები წარმოადგენენ. პასივების სტრუქტურა მრავალფეროვანია და ძირითადად მოიცავს დეპოზიტურ სახსრებს, არადეპოზიტურ სახსრებს და საკუთარ კაპიტალს. პასიურ ოპერაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კომერციული ბანკებისთვის, რადგან მოზიდული სახსრები გამოიყენება არა მხოლოდ როგორც საკრედიტო რესურსი, არამედ ისეთი აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების შეძენა, ინვესტიციების განხორციელება, ძირითადი საშუალებების შეძენა, ლიზინგური და ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება და ა.შ.

პასივების სტრუქტურა განსხვავდება თითოეული კომერციული ბანკის მიხედვით, რასაც ძირითადად განაპირობებს ბანკების სტრატეგია და პოლიტიკა, აქციონერების ფინანსური შესაძლებლობა, ბაზარზე კონკურენციის დონე, ბანკის იმიჯი, განხორციელებული აქტიური ოპერაციების მოცულობა და რისკის ხარისხი, საკუთარი კაპიტალის სიდიდე და ა.შ.

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსური კეთილდღეობის საქმეში. ამიტომ, კომერციული ბანკების საქმიანობა

და მათი როლი საზოგადოების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ის, თუ რა მოცულობით და რა პირობებით გასცემს ბანკი მათზე კრედიტს. გასაცემი სესხების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთზე კი მნიშვნელოვანწილად სწორედ მოზიდული სახსრების რაოდენობა და სტრუქტურა მოქმედებს. ამგვარად, მზარდმა ინტერესმა საკითხის მიმართ განაპირობა ჩემი მოტივირება კომერციული ბანკების მოზიდული რესურსების, მათი მართვის და მოსახლეობის დეპოზიტების დაზღვევის საკითხების შესასწავლად.

ძირითადი ტექსტი: საბანკო საქმიანობა რთული და მრავალფეროვანი პროცესია. საბანკო საქმიანობა იყოფა პასიურ, აქტიურ და საკომისიო ოპერაციებად. განვიხილოთ პასიური ოპერაციების არსი. პასიური ოპერაციები საბანკო საქმიანობის საფუძველია. მათი მეშვეობით ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ რესურსების მოზიდვა ფულად ბაზარზე. ამიტომაც, კომერციული ბანკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პასიური ოპერაციები. მათი საშუალებით ხდება აქტიური ოპერაციების წარმოება, რაც თავის მხრივ ახალი რესურსების შექმნას უწყობს ხელს. ბანკის პასივების მთავარ წყაროს და პასიური ოპერაციების ძირითად სახეობას წარმოადგენს **დეპოზიტური ოპერაციები**. ბანკებს შეუძლიათ საკუთარ კაპიტალზე გაცილებით მეტი ფულადი სახსრების მოზიდვა. ბანკები ახდენენ საზოგადოების ფულადი დანაზოგების მოზიდვას და ამავე დანაზოგებით საზოგადოების - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაკრედიტებას.

დეპოზიტური სახსრების მოზიდვა ხდება დეპოზიტური ოპერაციებით. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, დეპოზიტური სახსრების ხვედრითი წილი (მათ შორის საქართველოში) მთლიან პასივებში საგრძნობლად გაიზარდა. ბანკებს

შორის კონკურენციაც უფრო მაღალ დონეზეა და, სწორედ ამიტომ, კომერციული ბანკები ცდილობენ, რაც შეიძლება ხელსაყრელი და კომფორტული გარემო შეუქმნან პოტენციურ დეპოზიტარებს, ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ მაღალი საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე და მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყონ დეპოზიტების განთავსება, რაც მომხმარებლის პოზიციიდან უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს.

კომერციული ბანკების დეპოზიტების სტრუქტურა მრავალფეროვანია და მათი კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვადიანობის, მფლობელების, ვალუტების და სხვა ნიშნების მიხედვით. ვადიანობის მიხედვით გამოყოფენ დეპოზიტების ორ ძირითად ჯგუფს. ესენია - მოთხოვნამდე დეპოზიტები და ვადიანი დეპოზიტები.

მოთხოვნამდე დეპოზიტი არის ისეთი ტიპის უვადო ანგარიში, სადაც თავსდება კლიენტის ფულადი სახსრები და კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია თანხის მოთხოვნა. მოთხოვნამდე დეპოზიტი ეხსნებათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ასეთი ტიპის დეპოზიტები განსაკუთრებით მომგებიანია იურიდიული პირებისთვის. თუ კომპანიას მოთხოვნამდე დეპოზიტზე გარკვეული ვადით ფულადი სახსრები ექნება განთავსებული, სარგებლის სახით დაერიცხება პროცენტი. ამასთანავე ამ თანხის გამოყენება კომპანიას შეუძლია ნებისმიერ დროს, რაც არ ითვალისწინებს სადეპოზიტო ხელშეკრულების დარღვევას. მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკისთვის ითვლება არასტაბილურ რესურსად, სწორედ იმის გამო, რომ მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი გატანა ანგარიშიდან. ბანკისთვის არასტაბილური რესურსების განთავსება ძირითადად ხდება ლიკვიდურ აქტივებში - სალარო, საკორესპონდენტო ანგარიშები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ვადიანი დეპოზიტები (ანაბრები) - ეს არის ფულადი სახსრები, რომელთა განთავსება ბანკში ხდება განსაზღვრული ვადით და ბანკი მოიპოვებს უფლებას აღნიშნულ რესურსზე ანაბრის ვადის გასვლამდე. ვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია და ფიზიკური პირები უპირატესობას სწორედ ვადიან ანაბრებს ანიჭებენ თავიანთი დანაზოგის შესანახად. ფიზიკური პირისთვის სარგებლის სიდიდეს აქვს მნიშვნელობა, ამიტომ კომერციული ბანკები ცდილობენ პოტენციურ მეანაბრებს შესთავაზონ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის მიღება. ვადიანი დეპოზიტებიც სხვადასხვა ჯგუფებად იყოფა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგალითად - ანაბარზე თანხის დამატების პირობით, თანხის ავტომატურად შეგროვების პირობით, რთული თუ მარტივი პროცენტის დარიცხვის მეთოდით, თანხის გარკვეული ოდენობით გახარჯვის პირობით და ა.შ. ამასთანავე თითოეულ კომერციულ ბანკს აქვს თავისი შიდა სტანდარტი ანაბრებთან (და სხვა პროდუქტებთან) დაკავშირებით.

ზოგადი ტენდენცია არის ის, რომ ისეთ ვადიან ანაბრებზე, რომლებზეც დეპოზიტარს თანხის დამატების უფლება აქვს - შედარებით ნაკლები საპროცენტო განაკვეთი აქვს, ვიდრე ფიქსირებულ თანხიან დეპოზიტებს. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტებზე სარგებლის დარიცხვის პერიოდულობაც ახდენს გავლენას წლიურ საპროცენტო განაკვეთზე. დეპოზიტარს შეუძლია ანაბრის სარგებელი მიიღოს წინასწარ, ყოველთვიურად ან ვადის ბოლოს. წლიური საპროცენტი განაკვეთი მაქსიმალურია სარგებლის ვადის ბოლოს დარიცხვის პირობით; საშუალოდ 0,5%-ით ნაკლებია წლიურ საპროცენტო განაკვეთზე, თუ მეანაბრეს ყოველთვიურად გააქვს სარგებელი და უფრო მეტად მცირდება საპროცენტო განაკვეთი სარგებლის წინასწარ რეალიზაციისას.

ვადიან ანაბრის შემთხვევაში მეანაბრეს შეუძლია საკუთარი სახსრების ვადაზე ადრე გატანა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი კარგავს სრულ სარგებელს ან მის ნაწილს. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის არსებობა-არარსებობას კომერციული ბანკი თავად განსაზღვრავს და წინასწარ გაწერს ხელშეკრულებაში. ვადიან და ზრდად (თანხის დამატების უფლებით) ანაბრებზე ვადაზე ადრე თანხის გატანის შემთხვევაში კლიენტს თავისი თანხა გააქვს სრულად, თუმცა ვერ იღებს სრულ სარგებელს, ხოლო უკვე რეალიზებული სარგებელი კორექტირდება ანაბრის თანხიდან.

კომერციული ბანკები თავიანთ მომხმარებლებს ასევე სთავაზობენ განსხვავებული ტიპის დეპოზიტს - **სადეპოზიტო სერტიფიკატს**. ეს არის ბანკის ვალდებულება სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა დათქმული ვადის დადგომისას. სტანდარტულ სერტიფიკატს უწოდებენ ლარში დენომინირებულს, არასტანდარტულს კი - უცხოურ ვალუტაში. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ორი სახის - **დისკონტური** და **საპროცენტო**. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის სარგებლის რეალიზაცია ხორციელდება ვადის ბოლოს, საპროცენტოსი კი ყოველთვიურად და, შესაბამისად, საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0,5%-ით ნაკლებია დისკონტურზე. აღნიშნული პროდუქტის უპირატესობა არის ის, რომ მისი საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია ჩვეულებრივ ვადიან დეპოზიტთან შედარებით. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სადეპოზიტო ხელშეკრულების ნაკლოვანებას წარმოადგენს ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში ჯარიმის (ნომინალური ღირებულების 3%) არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, ვადიანი ანაბრები კომერციული ბანკებისთვის უფრო სტაბილური რესურსების წყაროდ ითვლება,

ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტები. მათი გამოყენება ძირითადად ხდება საშუალო, ასევე გრძელვადიანი დაკრედიტებისთვის. საქართველოში მოთხოვნამდე დეპოზიტებს ლარში საშუალოდ წლიური 3% ერიცხებათ სარგებლის სახით, როცა ვადიანი ანაბრების წლიური საპროცენტო განაკვეთი 8%-დან 10%-მდე მერყეობს (ვალუტის სახეზე და ვადაზე დამოკიდებულებით).

დეპოზიტების კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია მათი მფლობელების მიხედვით, კერძოდ იურიდიული პირის დეპოზიტებად და ფიზიკური პირის ანაბრებად. როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირები მოთხოვნამდე დეპოზიტებს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან ასეთ ანგარიშებზე ფულადი სახსრები უფრო მარტივად ხელმისაწვდომია კომპანიისათვის. მართალია, სარგებელი ვადიან ანაბართან შედარებით ნაკლებია, მაგრამ იურიდიული პირებისთვის ფულადი საშუალებები საბრუნავ სახსრებს წარმოადგენენ და ე.წ. თავისუფალი ფული მათ ცოტა ხნით უჭერდებათ საბანკო ანგარიშებზე. ამის მიუხედავად, იურიდიული პირებიც ხსნიან ვადიან დეპოზიტებს სარგებლის მიღების მიზნით, თუმცა შედარებით მცირე ვადით, ვიდრე ფიზიკური პირები.

მოსახლეობის მხრიდან, თავიანთი ფულადი სახსრების გადაცემას კომერციული ბანკისათვის შესანახად და სარგებლის მიღების მიზნით, განაპირობებს მრავალი ფაქტორი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მაღალ საპროცენტო სარგებელზე, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა საიმედოობის ფაქტორიც. საკუთარი დანაზოგის დაკარგვის შიში ბევრს უარს ათქმევინებს საკუთარი დანაზოგის საბანკო ანგარიშზე განთავსებაზე.

2017 წლის მაისში, საქართველოში გამოიცა კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით, „კანონი განსაზღვრავს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს

სამართლებრივი ფორმის, მართვისა და უფლებამოსილების და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ადმინისტრირების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონის მიზანია კომერციულ ბანკში ამ კანონით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურება, კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, დანაზოგების წახალისება და ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობის ხელშეწყობა.”

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, განვიხილოთ, თუ რა დადებითი გავლენა მოახდინა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნამ კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების მოცულობაზე. როგორც აღვნიშნე, საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ შესახებ გამოიცა 2017 წლის მაისში. ამავე პერიოდში წინა თვესთან შედარებით საბანკო სისტემის დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 1.1 %-ით (173.4 მლნ ლარით). ამავე წლის ივნისში მივიღეთ დეპოზიტების ზრდა 2.8%-ით. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა დეკემბრამდე. მართალია, დეკემბერში შეინიშნებოდა დეპოზიტების მოცულობის 0.7%-ით შემცირება წინა თვესთან შედარებით, მაგრამ 2016 წლის იგივე პერიოდის მონაცემებს თუ შევადარებთ, შეინიშნება დეპოზიტების მოცულობის ზრდა 16.4%-ით. 2018 წლის იანვარსა და თებერვალში შეინიშნება დეპოზიტების მოცულობის შემცირება 2017 წლის ბოლო პერიოდთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლები ბევრად აღემატება 2016 წლის იგივე პერიოდს. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლის მაისის შემდგომ კომერციული ბანკების დეპოზიტების მოცულობა მუდმივ მატებაშია. ეროვნული ბანკის ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2018 წლის მარტში მივიღეთ დეპოზიტების მოცულობის ზრდა 458.3 მლნ ლარით (2.4 პროცენტით).

საზოგადოების ნდობის ამაღლება ქვეყნის საბანკო სისტემის მიმართ ხელს შეუწყობს ბანკების მიერ მეტი ფულადი სახსრების მოზიდვას. შესაბამისად, კომერციულ ბანკებს ექნებათ საშუალება შეამცირონ გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი. დაცული იქნება დეპოზიტართა ფულადი სახსრები, უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური სტაბილურობა, მოსახლეობას ექნება მეტი სტიმული განათავსონ თავიანთი დანაზოგი სადეპოზიტო ანგარიშებზე. ეს ყველაფერი კი დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

დასკვნები: კომერციული ბანკის რესურსების მთავარ წყაროს წარმოადგენს დეპოზიტური სახსრები. ბანკებს შეუძლიათ საკუთარ კაპიტალზე გაცილებით მეტი ფულადი სახსრების მოზიდვა. ბანკები ახდენენ საზოგადოების დანაზოგების მოზიდვას და ამავე დანაზოგებით საზოგადოების - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაკრედიტებას, ასევე სხვა აქტიური ოპერაციების განხორციელებას;

- ბანკში მუდმივად მიმდინარეობს პასივების მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ის ფაქტორები, რაც ბანკის შიდა და საერთო ეკონომიკურ სიტუაციაზე ახდენს გავლენას. შედეგად, შესაძლებელი ხდება შემუშავდეს ისეთი ღონისძიებები, რაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის;

- ფულადი სახსრების მოზიდვა - შესაბამისად კლიენტის მიერ განთავსებული თითოეული დეპოზიტი, ბანკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იგი კომერციული ბანკის ყოველდღიური საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ, კომერციულ ბანკებს შორის კონკურენციის მაღალი დონე შეიმჩნევა. ისინი ცდილობენ შექმნან მაქსიმალურად კომფორტული სადეპოზიტო პროდუქტი და გარემო, რომ კლიენტებმა მეტი ფულადი